"დამტკიცებულია"
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი გ. გიორგაძე
"26" 06 2020 წ.

# საქართველოს ქალთა 77-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა
## 20-30 ივლისი, 2020 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. ჩატარების ვადები და ადგილი:
   20.07-30.07.2020 წ. ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე.
3. სისტემა და დროის კონტროლი:
   ტურნირი გაიმართება ფიდე-ს წესებით, წრიული სისტემით, 10 მონაწილეს შორის. თითოეულს 90 წუთი პარტიის ბოლომდე, პირველი სვლიდან ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.
4. განრიგი:

| ტური | დღე | საათი |
|---|---|---|
| ტექნიკური შეხვედრა | 20 ივლისი | 16.30 |
| გახსნა | 20 ივლისი | 17.00 |
| I ტური | 21 ივლისი | 15.00 |
| II ტური | 22 ივლისი | 15.00 |
| III ტური | 23 ივლისი | 15.00 |
| IV ტური | 24 ივლისი | 15.00 |
| V ტური | 25 ივლისი | 15.00 |
| დასვენების დღე | 26 ივლისი | |
| VI ტური | 27 ივლისი | 15.00 |
| VII ტური | 28 ივლისი | 15.00 |
| VIII ტური | 29 ივლისი | 15.00 |
| IX ტური | 30 ივლისი | 15.00 |
| დახურვა | 30 ივლისი | |

5. მონაწილენი:
   უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ:
   1. საქართველოს ქალთა 76-ე ჩემპიონატის 1-3 პრიზიორს;
   2. საქართველოს 2019 წლის ქალთა პირველი ეროვნული ნაკრების წევრებს;
   3. საქართველოს ქალთა 77-ე ჩემპიონატის I ლიგიდან გასულ 1-3 მოჭადრაკეს.

   ა) უმაღლესი ლიგის ვაკანტური ადგილები შეივსება I ლიგიდან მომდევნო ადგილზე გასული მოჭადრაკით;

   ბ) უმაღლესი ლიგის მონაწილეებმა თავიანთი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ არაუგვიანეს 2020 წლის 5 ივლისისა.
6. კვალიფიკაცია:
   ტურნირში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.
7. თაი-ბრეიქი:
   გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით. თანაბარი ქულების შემთხვევაში:
   1. ურთიერთშორის შეხვედრა;
   2. მოგებების მეტი რაოდენობა;
   3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
   4. კოიას სისტემა.
   5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, ჩატარდება დამატებითი მატჩები (იხ. დანართი 1)

8. გამარჯვებულნი:
   - 1 ადგილზე გასული მოჭადრაკე დასახელდება საქართველოს ქალთა ნაკრების წევრობის კანდიდატად;
   - 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2020 წლის ევროპის ქალთა ჩემპიონატზე, იმ შემთხვევაში თუ ჩემპიონატი ჩატარდება 2020 წლის განმავლობაში;
   - 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან 2021 წლის საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.
9. დაჯილდოება:
   - 1 ადგილზე გასული მოჭადრაკე დაჯილდოვდება თასით;
   - 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით;
   - ყველა მონაწილე დაჯილდოვდება ფულადი პრიზით.

   საპრიზო ფონდი: 30600 ლარი.

| ადგ. | პრიზი |
|---|---|
| 1 | 10000 ლარი |
| 2 | 7000 ლარი |
| 3 | 5000 ლარი |
| 4 | 3000 ლარი |
| 5 | 2000 ლარი |
| 6 | 1000 ლარი |
| 7 | 800 ლარი |
| 8 | 700 ლარი |
| 9 | 600 ლარი |
| 10 | 500 ლარი |

   პრიზები არ იყოფა.

   ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.
10. საერთო წესები:
   - ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
   - ყაიმზე შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ 30-ე სვლის შემდეგ.
   - მონაწილის ტურნირიდან არასაპატიო მიზეზით გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების №10. 20/01/2014 წ. შესაბამისად (იხ. დანართი 2).
   - ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ტურნირის ტექნიკურ შეხვედრაზე.

     მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
11. მონაწილეების ვალდებულებები:
   - კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 3 -ით.
   - დაესწრონ ტურნირთან დაკავშირებულ ყველა ოფიციალურ ღონისძიებას, მათ შორის ტექნიკურ შეხვედრას და გახსნა-დახურვის ცერემონიას.
   - მონაწილე ვალდებულია დაექვემდებაროს "Anti-Cheating" შემოწმებას.
   - დრეს-კოდი: სათამაშო ზონაში არ დაიშვებიან მონაწილეები სპორტული ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, ქუდით და არაკლასიკური ჯინსით.